ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ #15-105

თბილისი 3 დეკემბერი 2015 წელი

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომ - „ხელშეკრულება“) –„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს #13 ბრძანების საფუძველზე, შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2. „შემსყიდველი ორგანიზაცია“ (შემდგომ „შემსყიდველი“) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.3. „მიმწოდებელი“ ნიშნავს იურიდიულ ან ფიზიკურ პირს, რომელმაც შემსყიდველთან გააფორმა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;

1.4. “ხელშეკრულების ღირებულება” ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.5. “დღე”, “კვირა”, “თვე” ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს, თუ ხელშეკრულებით სხვა პირობა არ არის გათვალისწინებული.

2. ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთის მხრივ, სსიპ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო, (შემდგომში “შემსყიდველი”), წარმოდგენილი მისი თავმჯდომარის გიორგი მიშელაძის სახით, და, მეორეს მხრივ, შპს „ზუგდიდექსპერტიზა“, წარმოდგენილი მისი დირექტორის ზურაბ ბერულავას სახით, გამარტივებული შესყიდვის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

3. ხელშეკრულების საგანი

3.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს სსიპ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს მიერ საექსპერტო მომსახურების (CPV71319000) შესყიდვა.

3.2. წინამდებარე ხელშეკრულების მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას სსიპ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს მიერ განსახორციელებელი სახელმწიფო პროგრამის - „თხილის წარმოების განვითარება სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის მხარდაჭერის გზით“ - ფარგლებში სოფ.დარჩელში მუნიციპალიტეტის გამგეობის N38 მშენებლობის ნებართვის თანახმად აშენებული თხილის საშრობი და სასაწყობე ნაგებობის ექსპლოატაციაში მიღებასთან დაკავშირებით შენობის ვარგისიანობის და პროექტთან შესაბამისობის დადგენა.

4. ხელშეკრულების ღირებულება

შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს 800 (რვაასი) ლარს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი გადასახადების გათვალისწინებით.

5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. მომსახურების გაწევა მოხდება შემსყიდველის მიერ საექსპერტო მომსახურების ჩასატარებლად საჭირო დოკუმენტური და სხვა მასალის მიმწოდებლისათვის გადაცემიდან 5 სამუშაო დღის განმავლობაში.

5.2. შემსყიდველმა მიმწოდებელს უნდა გადასცეს საექსპერტო მომსახურების ჩასატარებლად ყველა საჭირო დოკუმენტური და სხვა მასალა, რაც ფორმდება მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის სახით;

5.3. მიმწოდებელი სამუშაოს იწყებს წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმების და საჭირო დოკუმენტებისა და მასალების გადმოცემის შემდეგ;

5.4. თუ საექსპერტო მომსახურების პროცესში გამოვლინდა შემსყიდველის მიერ დამატებითი დოკუმენტური ან სხვა მასალის წარმოდგენის აუცილებლობა, მიმწოდებელი დაუყოვნებლივ გადასცემს ასეთი დოკუმენტების ან მასალების ნუსხას შემსყიდველის წარმომადგენელს მიმწოდებლის ოფისში, კურიერის ან ელექტრონული ფოსტის საშუალებით. ვადა შემსყიდველის მიერ ნუსხის მიღების მომენტიდან, ნუსხაში მითითებული დოკუმენტების ან მასალების მიმწოდებელზე გადაცემამდე არ ჩაითვლება ხელშეკრულების პირობით განსაზღვრულ შესრულების ვადაში;

5.5. სამუშაოს შესრულების ვადაში არ ჩაითვლება დროის პერიოდი, რომლის განმავლობაშიც სამუშაო შეჩერებულია შემსყიდველის მიზეზით, ან შემსყიდველის მოთხოვნით.

5.6. საექსპერტო მომსახურების დასრულების შემდეგ, მიმწოდებელი გადასცემს შემსყიდველს - საექსპერტო დასკვნას, შემსყიდველისთვის გადაცემის ფაქტი ფორმდება მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის სახით.

5.7. მიმწოდებელი პასუხისმგებელია გაწეული მომსახურების ხარისხსა და დროულობაზე.

5.8. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, აუნაზღაუროს მას გაწეული მომსახურების ღირებულება.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

შესყიდვის ობიექტი მიწოდებულად ჩაითვლება მხარეთა უფლებამოსილი პირების მიერ შესაბამისი "მიღება-ჩაბარების" აქტის გაფორმების შემდეგ.

7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებს შემსყიდველი ორგანიზაციის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი ზაზა ოქრომჭედლიშვილი.

8. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტი არ გამოავლენს ხარვეზებს და იქნება ხარისხიანი, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვალდებულია საკუთარი სახსრებით თავად უზრუნველყოს გამოვლენილი ხარვეზის გამოსწორება;

9. ანგარიშსწორება

9.1. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში.

9.2. ანგარიშსწორება განხორციელდება მხარეთა შორის შესაბამისი საანგარიშსწორებო დოკუმენტის გაფორმებიდან 7 დღის განმავლობაში.

9.3. ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო. გადარიცხვა მოხდება მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1. ხელშეკრულების დამდებ არც ერთი მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

10.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

10.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. უფლებების გადაცემა

მიმწოდებელს არა აქვს უფლება შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.

12. ფორს-მაჟორი

12.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული, როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

12.2. ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

12.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

13. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

13.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მხარეები პასუხს აგებენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ვადაგადაცილებით შესრულების შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა - მოსაწოდებელი საქონლის ღირებულების 0.3%-ის ოდენობით ყოველ ვადგადაცილებულ დღეზე.

13.3. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.4. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

14. ხელშეკრულების შეწყვეტა

14.1. ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

14.2. ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი. აღნიშნული შეტყობინება უნდა მიეწოდოს მეორე მხარეს გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე მინიმუმ 5 დღით ადრე.

14.3. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

14.4. ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

14.5. შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) თუ მიმწოდებლის მხრიდან ადგილი ექნება მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობას ან არაჯეროვნად შესრულებას

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

14.6. ამ მუხლის მე-5 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება.

15. დავების გადაწყვეტის წესი

15.1. ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ მოლაპარაკებების მეშვეობით შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.

15.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შესძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

16. სხვა პირობები

16.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2016 წლის 29 იანვრის ჩათვლით.

16.2. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად და ორივეს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი

სსიპ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების
განვითარების სააგენტო
თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი #6
email: info@acda.gov.ge
ს/კ 205306293

სახელმწიფო ხაზინა
კოდი: TRESGE22
ა/ა: GE24NB0330100200165022

გიორგი მიშელაძე
თავმჯდომარე

მიმწოდებელი

შპს „ზუგდიდექსპერტიზა"
მის: ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ. N 93
ტელ: (0415) 22 12 30; 555 14 11 12;
email: zugdideqspertiza@gmail.com
ს/კ 220002128

სს „ლიბერთი ბანკი" -ს სამეგრელოს
რაიონის ფილიალი
ბანკის კოდი: LBRTGE22
ა/ა GE93LB 0113 1409 2971 2000

ზურაბ ბერულავა
დირექტორი